ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი

შინაარსი

შესავალი 3

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 3

ბიუჯეტის შემოსულობები 3

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 5

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 7

ინფრასტრუქტურის განვითარება 8

დასუფთავება და გარემოს დაცვა 11

განათლება 13

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 14

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 16

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 18

შესავალი

ბიუჯეტის ანგარიშის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ შედეგებს, განხორციელებულ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის ანგარიშის გზამკვლევი მოიცავს ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის ანგარიშის პროექტი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2023 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ლნტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2023 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #1



ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #2



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 17,1 მლნ ლარი (გრაფიკი # 3).

გრაფიკი #3



გრაფიკებში #4-#5 მოცემულია 2021-2023 წლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #6 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2021-2023 წლები).

გრაფიკი #4



გრაფიკი #5



გრაფიკი #6



მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტმა შეადგინა 4,993.3 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 29.1 %-ს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #7-ზე.

გრაფიკი #7



2023 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან დაფინანსდა შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**4,993.3**
საკრებულო	980.1
მერია	3,651.8
სამხედრო აღრიცხვა	104.8
საერთო დანიშნულების ხარჯები	256.6

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #8-ზე.

გრაფიკი #8



2023 წლის განმავლობაში მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით 10.3 ათასი ლარი, დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთათვის სოციალური დახმარების ღონისძიებები;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უპატრონო ადამიანების გარდაცვალებასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 54 % დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 9,241.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #9-ზე.

გრაფიკი #9



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	**საკუთარი სახსრები**
საგზაო ინფრასტრუქტურა	**4,865.3**
წყლის სისტემები	**1,688.8**
გარე განათება	**131.7**
კეთილმოწყობა	**1,553.2**
საპროექტო დოკუმენტაცია და ზედამხედველობა	**309.2**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	**601.5**
სოფლის მეურნეობის მომსახურების ცენტრი	**91.3**

<u>გრაფიკი #10</u>



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოხდა დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ:

- სოფელ ლესემაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ჟახუნდერში ლეღვანის უბანში გზის რეაბილიტაცია ასფალტპ- ბეტონის საფარით;
- სოფელ ლემზაგორში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ შკედში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ მაზაშში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ნანარში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- კურორტ მუაშის მიმართულებით მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ხოფურში გზის საყრდენი კედლის მოწყობა
- სოფელ მელეში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ მარგვიშში და ნაცულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ჩიხარეშში და ლაშხარაშში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- ჭველფი ლუჯის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო- ბეტონინს საფარით;
- სოფელ ჟახუნდერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ასფალტო- ბეტონის საფარით;

- სოფელ წანაშში (იფხალდის მიმართულებით) გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- დაბა ლენტეხში დაზიანებული ასფალტის ორმოული შეკეთება;
- სოფელ ბაბილში, ყარიშში და კახურაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- ყვედრეშში, გვიმბრალაში და რცხმელურში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- საავტომობილო გზების მოწყობა (თეკალი, მამი, ჭველიერი) გზის რეაბილიტაცია ასფალტო- ბეტონის საფარით;

<u>წყლის სისტემების განვითარების</u> პროგრამა - ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. 2023 წლის ბიუჯეტით განხორციელდა:

- სოფ. ქვ. ბავარში ნანარში, შკედილდაშში, ხედა ლესემაში და გაღმა ბაბილში 4,745 გრძ/მ წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფ. გვიმბრალაში, შკედში, ლასკადურაში 1,221 გრძ/მ წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფ. ჟახუნდერში 907 გრძ/მ წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფ. ჭველიერში 311 გრძ/მ წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფ. ჩიხარეშში და მარგვიშში 2,240 გრძ/მ წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

<u>გარე განათების პროგრამა</u> - დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ლენტეხსა და სოფლების ძირითად ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80 %. 2023 წლის ბიუჯეტით განხორციელდა:

- შეიცვალა 350 ცალი ნათურა;
- შეიცვალა 100 ცალი ლამპიონი;
- შეიცვალა 25 საყრდენი ბოძი;
- შეიცვალა 500 გრძ. მეტრი სადენი;

<u>კეთილმოწყობის ღონისძიებები</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდა:

- ალეკო და ემზარ ონიანების სახელობის სკვერები რეაბილიტაციის სამუშაოები;
- 20 მეტრიანი სადროშე ბოძის მონტაჟი;
- მჟავეწყლის კეთილმოწყობის სამუშაოები.

<u>სოფლის მხარდაჭეის პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში სამუშაოები დასრულდა 60 სოფელში.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 2 %-ი დაიხარჯა დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 406.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #11-ზე.

გრაფიკი #11



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება -	
დასუფთავება და ნარჩენების გატანა	288.0
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების აგრარულიდა ეკოლოგიუერი განვითარების ცენტრი	118.0

<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- 65 000 მ2 ფართობის ტერიტორიის დასუფთავება;
- 144 ცალი ბუნკერის დაცლა და გასუფთავება;
- 1 ერთეული ბიო ტუალეტის დასუფთავება.

<u>ა(ა)იპ გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების აგრარული და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ყოველდღიური მონიტორინგი მდ. ხელედურაზე ცისარტყელა კალმახის დაცვის მიზნით;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების მოწესრიგებისა და მდინარეების კალაპოტების დაცვის მიზნით ჩატარდა მონიტორინგი კვირაში ერთხელ.

გრაფიკი #12



განათლება

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 5.1 %-ი დაიხარჯა განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 878.8 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #13-ზე.

გრაფიკი #13



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა მხოლოდ ერთი **„სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონიერების“** პროგრამა. პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 160 ბავშვმა;

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 7.4 %-ი დაიხარჯა კულტურა, ახალგაზრდული და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,276.2 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #15-ზე.

გრაფიკი #15



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	ათასი ლარი
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	371.3
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	901.5
ახალგაზრდობის მხარდაჭერა	3.4

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამების ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 99.7 %-ია.

<u>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა სადაც აღსაზრდელთა რაოდენობამ შეადგინა 152 ბავშვი;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი ლაილა;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანება;

<u>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება;

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის ლადო მუსელიანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის სახლი

გრაფიკი #16



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 2.0 %-ი დაიხარჯა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 350.1 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #17-ზე.

გრაფიკი #17



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა	140.8
სოციალური უზრუნველყოფა	209.3

<u>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;

<u>ავადმყოფთა სოციალური დაცვა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა - 37 ბენეფიციარი;
- სარიტუალო მომსახურების ხარჯები- 7 ბენეფიციარი;
- ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 2 ბენეფიციარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 20 ბენეფიციარი;
- ხანძრისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება - 5 ოჯახი;
- მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი) და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი - 30 ოჯახი;
- ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი - 14 ბენეფიციარი.

გრაფიკი #18



ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2021-2023 წლების მიხედვით ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 38,145.3 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #19-ზე და #20 გრაფიკებზე:

გრაფიკი #19



გრაფიკი #20



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 38 % (14,5 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის სუბსიდიის მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 7,3 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 19 %).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მესამე ბოლო 3 წლის მიხედვით არის შრომის ანაზრაურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 5,7 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 15 %).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის საქონელი და მომსახურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯა 5,1 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 13 %-ია და ა.შ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2021-2023 წლებში